ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ადრესატი:

მანონი რატიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს აპარატი-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი

მზია ნიგურიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს აპარატი-საოქმო განყოფილება-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:135-1352332810
თარიღი: 24/11/2023

მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

ოქმი N-12

დ. მესტია 22.11.2023წელი

სახდომის თავმჯდომარე: რ. გვარმიანი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: შ. ცინდელიანი, მ. ხორგუანი, ლ. ქალდანი, მ. რატიანი, ვ. ჭკადუა, ვ. ფილფანი, თ, დადეშქელიანი,

სხდომის მუშაობას ესწრებოდა: მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი.

სხდომის მდივანი: მ. ნიგურიანი.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო

დღის წესრიგი:

საბიუჯეტო კოდექსის #77 მუხლის მე-7 -ე პუნქტისა და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანების შესაბამამისად წარმოდგენილი, მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: თ. ნავერიანი

მოისმინეს თ. ნავერიანის მოხსენება მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ. მომხსენებელმა ისაუბრა **მესტიის მუნიციპალიტეტის** 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე. ბიუჯეტი წარმოდგენილია 21 563 400 ლარით, სადაც გათვალისწინებულია ხელფასების 10% -იანი მატება. ასევე

წარმოდგენილია 2024 წლისთვის დაგეგმილი ღონისძიებების და აქტივობების შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვა:

რ. გვარმიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ განიხილა მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, რის საფუძველზეც კომისიამ დაასკვნა:

2024 წლისთვის მესტიის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, კეთილმოწყობა.
- განათლება, კულტურა, ახალგაზრდების ხელშეწყობა და სპორტი.
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შემოსულობების ნაწილი წარმოდგენილია 21 563 400 (თვრამეტი მილიონ შვიდას ოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) ლარით. რაც 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (19 050 400) შედარებით ---2 513 100 ---------- ლარით არის გაზრდილი, რაც მისასალმებელია და დადებითად უნდა შეფასდეს. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ხელფასების 10% -იანი მატება.

მუნიციპალიტეტის გაზრდილ შემოსავლებს უზრუნველყოფს: ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები, დამატებითი ღირებულებიდან მიღებული და სხვა შემოსავლები მათ შორის; მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი, გრანტები და სხვა შემოსავლები.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ და სხვა მოქმედმა კომისიებმა, რომლებიც განიხილავდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს, წარმოადგინეს შემდეგი შენიშვნები :

1. იმისთვის, რომ ბიუჯეტის პროექტის შემოსავლების ნაწილი არ იყოს რისკების შემცველი საჭიროა როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან ისე ყველა გადასახადის გადამხდელი ორგანიზაციიდან წერილობით წარმოდგენილი და დადასტურებული იყოს გადასახადების და შემოსავლების ოდენობის საპროგნოზო პარამეტრები და ფინანსური მაჩვენებლები.

2. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი წარმოდგენილია 9 100 000 ლარით, რაც 2023 წლის გეგმასთან (8 800 000) შედარებით 300 000 ლარით გაზრდილია.

3. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შემოსავლების ზრდასთან ერთად გაზრდილია, შესაბამისად მიზანშეწონილია დეტალურად იყოს განმარტებული და წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებულ და გაზრდილ ხარჯთან დაკავშირებით. შესაბამისად გთხოვთ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო სახით წარმოდგენამდე, მაქსიმალურად განმარტეთ და წარმოადგინეთ ინფორმაცია გაზრდილი ბიუჯეტის პრიორიტეტების შესახებ. შესაბამისად ნათელი და გასაგები უნდა იყოს კავშირი ხარჯებსა და მიზანს შორის. იმისთვის, რომ მოსახლეობა სწორად აღიქვამდეს გაზრდილი ბიუჯეტის შედეგად მიღებულ სარგებელს და სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას.

4. მერიაში მოქმედმა ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციამ, მათ შორის ა(ა)იპ-ებმა უნდა წარმოადგინონ სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, სადაც მითითებული იქნება დეტალური ინფორმაცია ყველა შესყიდვის შესახებ შესაბამისი ვადების მითითებით. ასევე ინფორმაცია ყველა ღონისძიებასა და ფინანსური დანახარჯების შესახებ, მათ შორის დეტალურად ჩაშლილი ბიუჯეტი.

3.1.ა(ა)იპ. მესტიის დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური

3.2. ა(ა)იპ.მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტეი

3.4. ა(ა)იპ. მესტაიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი

3.5. ა(ა)იპ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი

3.6. ა(ა)იპ. სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლენდი

3.7. ა(ა)იპ. მესტიის მთავარი ბიბლიოთეკა

3.8. ა(ა)იპ. მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწეაებულებების გაერთიანება

3.9 ა(ა)იპ. გარე განათება

5. ინიციატივა, დაბა მესტიაში აეროპორტის გზაზე გარე განათების მოწყობის შესახებ. ასევე, დაზიანებული და ავარიული ბოძების შეცვლის საჭიროების შესახებ.

6. რეკომენდაცია, საკრებულოს სხდომათა დარბაზის კეთილმოწყობის და აღჭურვის შესახებ. არქიტექტურული, დიზაინერული, ტექნიკური აღჭურვის პროექტის მომზადება და განხორციელება.

7.ინიციატივა, **ა.ა.ი.პ** ,,მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი"-ს ახალი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის საჭიროების და ბიუჯეტში გათვალისწინების შესახებ.

8. რეკომენდაცია, საბავშვო ბაღებში მცირე სარემონტო სამუშაოებისთვის ბიუჯეტში ხარჯების გათვალისწინების შესახებ.

9. ინიციატივა, საბავშვო ბაღებში იმ თანამშრომლებს ვისაც დაბალი და საშუალო ხელფასები აქვთ 10 %-იანი მატების ნაცვლად გაეზარდოთ 100 ლარით.

10. ა.ა.ი.პ. სპორტული ცენტრი. ინიციატივა, ნაკრის და ფარის სპორტდარბაზებში საცოცი კედლის მოწყობაზე პროექტის მომზადების და ბიუჯეტში გათვალისწინების შესახებ.

11. რეკომენდაცია, ა(ა)იპ. სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლენდი. **ორგანიზაციის შემდგომში უფლებამოსილების და ფუნქციების გაზრდის გამო საჭიროა ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა.**

12.რეკომენდაცია, **ა.ა.ი.პ** ახალგაზრდული თვითმმართველობის წესდებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში დაგეგმილი აქვს სხვადასხვა სფეროში შესაბამისი აქტივობები, ზოგ შემთხვევაში იკვეთება და თანხვედრაში არის მერიის სხვადასხვა ა.ა.ი.პ -ების საქმიანობასთან და დაგეგმილ აქტივობებთან.

კომისიის რეკომენდაცია არის, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოხდეს კოორდინაცია და კონსულტაციების გავლა იმ ორგანიზაციებთან, სადაც ასევე დაგეგმილია იდენტური ან მსგავსი პროექტები და აქტივობები, რამაც შესაძლებელია უფრო ეფექტური გახადოს საბიუჯეტო ხარჯები.

13. საჭიროა ინფრასტრუქტურის ბიუჯეტის დაზუსტება კონკრეტულ პროექტებთან

მიმართებაში, როგორც საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის კუთხით, ასევე სხვა კაპიტალური ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

შესაბამისად გთხოვთ წარმოადგინეთ ინფორმაცია, მესტიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს დაგეგმილი ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ დაფინანსების წყაროს მითითებით. ბიუჯეტის ამ მუხლში წარმოდგენილი პროგრამის და ქვეპროგრამების სრული განმარტებით, მათ შორის თითოეულ თემში დაგეგმილი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია, დაფინანსების წყაროს და განხორციელების ვადების მითითებით.

თითოეული პროგრამის განხორციელების შედეგად გამოწვეული ცვლილება უნდა აისახებოდეს ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაზე და სოციალურ გარემოზე, რასაც მთლიანად მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოჰყვება დადებითი სოციალურ ეკონომიკური ეფექტი.

14. ინიციატივა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში, კეთილმოწყობის მუხლში ცალკე აისახოს და გათვალისწინებულიქნეს მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა შენახვის ხარჯები.

სარეზერვო ფონდი შენარჩუნებული იქნას საგანგებო მდგომარეობის და სხვადასხვა ფორსმაჟორული შემთხვევებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ პროექტს, ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

მომხრე--8

წინააღმდეგი--0

თავი შეიკავა--0

კენჭისყრის შედეგად დადგინდა: ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით საკრებულოს კომისიებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნდეს მერიას შემდგომი რეაგირებისთვის.

მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: რ. გვარმიანი

როდამ გვარმიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თვმჯდომარე